შპს ოილჯი

ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

## სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
4. ზოგადი ინფორმაცია---------- 6
5. ფინანსური ანგარიშების მომზადების საფუძველი ---------- 6
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე---------- 6-11
7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და
   განსუაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები----------11-12
8. ამონაგები ---------- 12
9. საპროცენტო შემოსავალი----------13
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ---------- 13
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი----------13
12. სავაჭრო მოთხოვნები ----------13
13. სხვა მიმდინარე აქტივები ----------14
14. ძირითადი საშუალებები ---------- 14
15. მიღებული ავანსები ---------- 15
16. რისკების მართვა ----------15-17
17. დაკავშირებული მხარეები ---------- 17
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ---------- 17

შპს „ოილჯი“

**ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა**

| | შენიშვნა | 31-12-19 | 01-01-19 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 9 | 97,789 | 522,714 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 10 | 87,558 | 3,380,103 |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | | 1,054,552 | 1,122 |
| მარაგები | | 10,347 | 517,083 |
| - მზა პროდუქცია | | - | - |
| - სხვა | | - | - |
| საინვესტიციო ქონება | | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 11 | 197,299 | 177,705 |
| ბიოლოგიური აქტივები | | - | - |
| - თვითღირებულების მოდელით | | - | - |
| - გადაფასების მოდელით | | - | - |
| გუდვილი | | - | - |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | - | - |
| ძირითადი საშუალებები | 12 | 68,462 | 63,122 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | - | - |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | | - | - |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | - | - |
| **სულ აქტივები** | | 1,516,007 | 4,661,849 |
| | | - | - |
| **ვალდებულებები** | | - | - |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | - | - |
| სავაჭრო ვალდებულებები | | 361,052 | 1,236,011 |
| მიღებული ავანსები | | 67,488 | - |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | - | - |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | - |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | | - | - |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | | - | 1,099,698 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | | - | - |
| მიღებული გრანტები | | - | - |
| სხვა ვალდებულებები | | - | - |
| **სულ ვალდებულებები** | | **428,540** | **2,335,709** |
| | | - | - |
| **საკუთარი კაპიტალი** | | - | - |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | | **1,079,925** | **1,900,259** |
| საემისიო შემოსავალი | | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | | **7,542** | **425,881** |
| გადაფასების რეზერვი | | - | - |
| სხვა რეზერვები | | - | - |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 1,087,467 | 2,326,140 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | 1,516,007 | 4,661,849 |

თამაზ წაქაძე
დირექტორი

მარინე ერაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ოილჯი“

## ფორმა -2 საქმიანობის შედეგები

| | შენიშვნა | 31-12-19 |
|---|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | | **34,532,852** |
| საქონლის გაყიდვიდან | | 34,486,763 |
| მომსახურების გაწევიდან | | 46,089 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | - |
| სხვა | | - |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | | **34,023,390** |
| საწყისი მარაგები | | 517,083 |
| მარაგების შესყიდვა | | 33,516,654 |
| გადამუშავების დანახარჯები | | |
| საბოლოო მარაგები | | 10,347 |
| **საერთო მოგება** | | **509,462** |
| სხვა შემოსავალი | | - |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | | (39,655) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (15,084) |
| საპროცენტო შემოსავალი: | | 8,100 |
| საპროცენტო ხარჯი : | | (47,347) |
| იჯარის ხარჯი | | (316,990) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 8 | (84,400) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | | **(495,377)** |
| **საოპერაციო მოგება** | | **14,085** |
| **გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:** | | **(432,4[illegible])** |
| ფინანსური აქტივები | | (352,196) |
| მარაგები_ | | - |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | - |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან: | | (80,228) |
| მიღებული დივიდენდები | | - |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | - |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | | **(418,339)** |
| მოგების გადასახადი | | |
| **მოგება/(ზარალი)** | | **(418,339)** |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | - |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | | - |
| სხვა | | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)** | | **(418,339)** |
| **კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)** | | **2,326,140** |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) | | 1,401,168 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | (2,221,502) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | (418,339) |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | |
| **კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | | **1,087,467** |

თამაზ წაქაძე
დირექტორი

მარინე ერაძე
მთავარი ბუღალტერი

## ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

| | საანგარიშგებო პერიოდი 2019 |
|---|---|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 1,534,761 |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | 40,576 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | (1,920,033) |
| **წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში** | (344,696) |
| სავალუტო კურსის ეფექტი | (80,228) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 522,714 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 97,789 |

თამაზ წაქაძე
დირექტორი

მარინე ერაძე
მთავარი ბუღალტერი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოილჯი (საიდენთიფიკაციო კოდი 404396845), შემდგომში კომპანია დაარსდა 2011 წლის 17 მარტსს. კომპანიის დამფუძვნებელი და 100% წილის მფლობელია, თამაზ წაქაძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ბენზინისა და დიზელის ნავთობით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისის, მ.გორკის ქუჩა # 3

## 2. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

## 3. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

**მსს ფასს სტანდარტების პირველად შემოღება.** ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება.

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

**სამუშაო ვალუტა.** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

**უცხოური ვალუტით გამოწვეული ოპერაციები** ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვი სამუშაო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებული, უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოური ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701 ) არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარგენილი არიან ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განცხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

**ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

### ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

**ა მო ნა გებ ის აღ იარ ება.** საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული

ღურებულების გადასახადის გამოკლებით.

**უცხოური ვალუტა.** ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუატაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

**გადასახადები**

**i) მოგების გადასახადი**

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯნება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

**ii) დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლების განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფსურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ღირებულება გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

| ძირითადი საშუალებების კატეგორიები | ცვეთის განაკვეთები |
|---|---|
| კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული | 20% |
| სატრანსპორტო საშუალებები | 20% |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 20% |

ცვეთადი ღრებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

**არამატერიალური აქტივები**

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის

აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

**სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება იდენთიფიკაციის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მარაგებს შეადგენს ბენზინის და დიზელის საწვავისგან.

**იჯარა**

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

**ანარიცხები**

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება

ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

**სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

**საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

**დივიდენდები**

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

## 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

### განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

#### დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

#### ძირთადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

#### საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავის შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას,

მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპიროობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

## 6. ამონაგები

კომპანიის 2019 წლის შემოსავლები ძირითადად შედგება ნავთობის რეალიზაციისა და იჯარის სახით მიღებული შემოსავლებისგან. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 34,532,852 ლარი.

## 7. საპროცენტო შემოსავლები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი 8,100 ლარი მოიცავდა შპს „ბერმუხა“-ზე სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე დარიცხულ პროცენტს.

## 8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2019 წელი (ლარი) |
|---|---|
| კომუნალური ხარჯები | 8,683 |
| კომპიუტერის ხარჯები | 80 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 1,263 |
| მიწოდების ხარჯი | 15,222 |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები | 3,000 |
| საგადასახადო ხარჯები | 669 |
| საბანკო ხარჯები | 6,069 |
| მიმდინარე რემონტის და ექსპლოატაციის ხარჯები | 42,998 |
| სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები | 5,919 |
| საპენსიო ხარჯი | 497 |
| **სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **84,400** |

| 9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი<br>ლარი | საბალანსო ღირებულება 31-12-19 | საბალანსო ღირებულება 31-12-18 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები ლარში | 97,789 | 65,426 |
| ფულადი სახსრები დოლარში | - | 457,288 |
| **სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი** | **97,789** | **522,714** |

| 10.სავაჭრო მოთხოვნები<br>ლარი | საბალანსო ღირებულება 31-12-19 | საბალანსო ღირებულება 31-12-18 |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 439,754 | 3,453,930 |
| საეჭვო მოთხოვნების რეზერვი | (352,196) | (73,827) |
| **წმინდა სავაჭრო მოთხოვნები** | **87,558** | **3,380,103** |

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღინია, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი.
ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსული გამოცდილებისა და სამომავლო მოლოდინების მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებელი განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.
2019 წლის 31 დეკემბრისთვის 378,218 ლარი სავაჭრო მოთხოვნები ვადაგადაცილებული აღმოჩნდა 12 თვეზე მეტ ხანს. ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების რეზერთან დაკავშრებით იხილეთ ქვემოთ:

| **საეჭვო მოთხოვნების რეზერვი**<br>ლარი | **31-12-19** |
|---|---|
| **ნაშთი პერიოდის დასაწყისში** | (1,262,605) |
| რეზერვის კორექტირება | 26,022 |
| რეზერვის ზრდა | (378,218) |
| **ნაშთი პერიოდის ბოლოს** | **(1,614,801)** |

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების დაბრუნებითობას განსაზღვრავს კრედიტის გაცემიდან საანგრიშგებო პერიოდის თარიღამდე დებიტორის მიერ განხორციელებულ ჩარიცხვების საფუძველზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია მომხმარებელთა კატეგორიის დიაპაზონის და ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო. შესაბამისად, ხელმძღავანელობის მოსაზრებით, არ არსებობს დამატებითი სავალო ანარიცხების შექმნის საჭიროება საეჭვო ვალების დასაფარავად.

| **11. სხვა მიმდინარე აქტივები**<br>ლარი | **საბალანსო ღირებულება 31-12-19** | **საბალანსო ღირებულება 31-12-18** |
|---|---|---|
| სესხი შპს ბერმუხა | 35,000 | 96,000 |
| დარიცხული პროცენტები შპს ბერმუხა | 3,687 | 872 |
| საგადასახადო ზედმეტობა | 158,612 | 80,833 |

| | | |
|---|---|---|
| სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი | 197,299 | 177,705 |

**12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

| ლარი | სატრანსპორტო საშუალებები | კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| *წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით* | 25,831 | 9,864 | 27,427 | 63,122 |
| მიღებულია 2019 წლის საანგარიშო პერიოდში | - | 12,238 | 8,186 | 20,424 |
| დარიცხული ცვეთა | 5,166 | 3,441 | 6,477 | 15,084 |
| გასული | - | - | - | - |
| *ნარჩენი ღირებულება* | 20,665 | 18,661 | 29,137 | 68,462 |
| *წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით* | 20,665 | 22,102 | 35,613 | 83,547 |

**13. მიღებული ავანსები**

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხება ავანსად მიღებული თანხები 67,488 ლარი.

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება.

**14. რისკების მართვა**

**ა) ფინანსური რისკების მართვა**

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

### ზ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანს“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

### გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

### *საკრედიტო რისკის გავლენა*

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

| საკრედიტო რისკის გავლენა<br>ლარი | საბალანსო ღირებულება 31-12-18 | საბალანსო ღირებულება 31-12-18 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 87,558 | 3,380,103 |
| ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები | 97,789 | 522,714 |
| | **185,347** | **3,902,817** |

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

### დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე
ფულადი სახსრების სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

| არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები<br>ლარი | საბალანსო ღირებულება 31-12-19 | საბალანსო ღირებულებ 31-12-18 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 361,052 | 1,236,011 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | - | 1,099,698 |
| | 361,052 | 2,335,709 |

### ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

### ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

## 16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

კომპანიის დაკავშრებულ მხარეს წარმოადგენს მმართველობითი ხელმძღვანელობა.

| *ოპერაციები მმართველ რგოლთან*<br>ლარი | 31-12-19 | 31-12-18 |
|---|---|---|
| ხელფასი და ბონუსები | 11,984 | 21,711 |

## 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭომ გამოსაცემად დაამტკიცა 2020 წლის 30 სექტემბერს